თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის

პროფესიულ საჯარო მოხელეთა საკონკურსი კომისიის

სხდომის ოქმი N3

ქ. თელავი 20.04. 2021 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, აპარატის უფროსი - კომისიის თავმჯდომარე - ტარიელ გალახვარიძე

ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე - სოფიო ოხანაშვილი;

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, იურიდიული სამსახურის სამსახურის უფროსი - კომისიის წევრი - ლევან ბერძენაშვილი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი - კომისიის წევრი - მედეა ჩაფურიშვილი

არასამთავრობო ორგანიზაცია „სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი“-ს თელავის ბიუროს ხელმძღვანელი - კომისიის წევრი - ლევან როსტომაშვილი

## დღის წესრიგი

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორე რანგის პროფესიული საჯარო მოხელის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - საორგანიზაციო განყოფილების უფროსის ვაკანტურ თანამდებობაზე დასაკავებლად გამოცხადებულ ღია კონკურსის მეორე ეტაპის - (გასაუბრება) ჩატარების შესახებ.

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსმა, კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ სოფიო ოხანაშვილმა კომისიის წევრებს განუმარტა, რომ გასაუბრებაზე გამოცხადდა 1 კონკურსანტი. (რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის) შესაბამისად კომისიამ გასაუბრება განახორციელა მხოლოდ კონკურსანტ თეონა ბეგაშვილთან.

თითოეული კომისიის წევრის მიერ კონკურსანტის მიმართ გაკეთდა შეფასებები.

აზრი გამოთქვეს: დ. როსტომაშვილმა აღნიშნა, რომ კონკურსანტმა თეონა ბეგაშვილმა ამომწურავად უპასუხა შეკითხვებს. კომისიის თავმჯდომარემ კი აღნიშნა, რომ კონკურსანტის მხრიდან გამოვლინდა მოტივაცია, რაც აუცილებელია პროფესიული საჯარო მოხელისათვის.

კომისიის წევრების მიერ ერთხმად აღინიშნა, რომ გასაუბრებაზე გამოცხადებული კანდიდატის მონაცემები შეესაბამება გამოცხადებული კონკურსის სპეციალურ და დამატებით მოთხოვნებს.

კომისიამ ინდივიდუალური შეფასებებიდან გამომდინარე გააკეთა საბოლოო შეფასება, კანდიდატი შეფასდა 9 (ცხრა) ქულით (დანართი N1).

გადაწყვიტეს: 1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორე რანგის პროფესიული საჯარო მოხელის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - საორგანიზაციო განყოფილების უფროსის თანამდებობაზე დასანიშნად საკრებულოს თავმჯდომარეს წარედგინოს თეონა ბეგაშვილის კანდიდატურა.

2. კანდიდატს, რომელმაც წარმატებით გადალახა კონკურსის მეორე ეტაპი და კონკურსის საბოლოო შედეგით გამოვლინდა გამარჯვებულად, 5 (ხუთი) დღის ვადაში ეცნობოს მის მიერ მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე.

3. კონკურსის მეორე ეტაპის (გასაუბრება) - კომისიის სხდომის ოქმი განთავსდეს თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე : www.telavi.gov.ge

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, აპარატის უფროსი - კომისიის თავმჯდომარე ტარიელ გალახვარიძე

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე სოფიო ოხანაშვილი

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, იურიდიული სამსახურის სამსახურის უფროსი - კომისიის წევრი ლევან ბერძენაშვილი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი - კომისიის წევრი მედეა ჩაფურიშვილი

არასამთავრობო ორგანიზაცია „სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი"-ს ხელმძღვანელი - კომისიის წევრი ლევან როსტომაშვილი

დანართი 1

საბოლოო შეფასების შედეგები

20 აპრილი 2021წელი

| კონკურსის მეორე ეტაპი (გასაუბრება) წარმატებით გადალახა შემდეგმა კანდიდატმა | |
|---|---|
| სახელი გვარი | მეორე ეტაპის შედეგი |
| თეონა ზეგაშვილი | 9 ქულა |